



„ფიზიკური აღზრდისა
შესახებ“ კანონის



და



სპორტის
პროექტის




საჯარო განხილვა

მონაწილეთა შეფასების ანგარიში 2 აგვისტო, ქუთაისი

2 აგვისტოს, ქუთაისში, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისა და NDI-ის მხარდაჭერით „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა შეფასების კითხვარები შეავსეს, რომელიც მოიცავდა 4 დახურულ და 2 ღია კითხვას. საერთო ჯამში, კითხვარი შეავსო 38-მა მონაწილემ. შედეგები იხილეთ ქვემოთ.


პირველ კითხვაზე, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო განხილვის ზოგად შეფასებას, პასუხები პოზიტიური იყო. მონაწილეთა 32%-მა შეხვედრა შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, ხოლო 47%-მა როგორც „კარგი“ (იხილეთ გრაფა N1).

გრაფა N1




მეორე დახურულ შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა შეხვედრის ფორმატს, 13%-მა (5) ფორმატი შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, ხოლო 63%-მა (24) როგორც „კარგი“ (იხილეთ გრაფა N2).

გრაფა N2




მესამე შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს შესაძლებლობა გაცნობოდნენ კანონის პროექტს შეხვედრამდე, 53%-მა (20) უპასუხა „დიახ“, 45%-მა (17) „არა“, ხოლო 2%-მა (1) უარი განაცხადა პასუხზე (იხილეთ გრაფა N3).

გრაფა N3



ბოლო დახურულ შეკითხვაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა პრეზენტაციის შეფასება, 13%-მა (5) შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, 55%-მა (21) როგორც „კარგი“, ხოლო 32%-მა (12) როგორც „დამაკმაყოფილებელი“ (იხილეთ გრაფა N4).

გრაფა N4



როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარი შეიცავდა 2 ღია კითხვას:

1. რა უნდა იყოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მომდევნო სამი წლის განმავლობაში (ჩამოთვალეთ მაქსიმუმ 3)
2. სხვა კომენტარები საკითხზე (აღნიშნული სივრცე მონაწილეებმა ან ცარიელი დატოვეს ან გამოთქვეს ზოგადი კმაყოფილება ჩატარებული შეხვედრით)

მონაწილეებმა პრიორიტეტებად დაასახელეს შემდეგი საკითხები:

- საათობრივი ანაზღაურების საკითხის რეგულირება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთათვის (2)
- სპორტული ინფრასტრუქტურა (18)
- ხელფასების გაზრდა (12)
- მწვრთნელთათვის ტრენინგების ჩატარება/კვალიფიკაციის ამაღლება (12)
- წარმატებული სპორტსმენებისთვის სტიპენდიის დანიშვნა/ფინანსური დახმარება
- ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უფლება-მოვალეობების გამიჯვნა (2)
- სამიველინებო ანაზღაურების გაზრდა
- დაფინანსების საკითხების მოგვარება (6)
- სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სტანდარტის ამაღლება
- რეგიონული სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერა
- პარაოლიმპიური სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერა
- მასობრივი სპორტის განვითარება (11)

- ეროვნულ და რეგიონულ დონეზე სპორტის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება (3)
- სპორტულ აქტივობებში ახალგაზრდების/ბავშვების მაქსიმალურად ჩართვა (7)
- სკოლებისთვის აუცილებელი სპორტული ინვენტარის რეგულარულად მიწოდება (6)
- სამოტივაციო მიზნებისთვის მწვრთნელთა რანგირების სისტემის შემოღება
- ადამიანური რესურსები
- პროფესიონალი სპორტსმენების მაღალ დონეზე მომზადებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა
- ოლიმპიური სპორტის სახეობების განვითარება
- რეგულარული სპორტული შეკრებებისა და ღონისძიებების ორგანიზება/დაფინანსება (3)
- ა(ა)იპ-ების გაუქმება, რომლებიც ჩართულები არიან სპორტის სფეროში, მათი არაპროფესიონალური მიდგომის გამო
- სპორტული სკოლების შექმნა რეგიონებში
- სკოლებში/ბაღებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები
- სპორტული ჯარის პროგრამის დანერგვა
- ტრენერებისა და მასწავლებლების სტატუსის გათანაბრება
- სპორტის სხვადასხვა სფეროში ტურნირების ჩატარება სკოლებს შორის